№ 224

ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 224

ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული დასი გამართავს საიუბილეო ბენეფისს სუფლიორის ნ. გალუსტოვისას.

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## საშინელი შურის-ძიება

ფარსი 4 მოქმედებად, თარგმანი ნ. გალუსტოვისა.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

და

**ლეკური**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გარგარელისა გარელისა, რიონელი, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

## ისყიდება

13,000 მანათად ბანკში დაგირავებული სახლი 3 სართულიანის ფლიგელითა და ბაღით. მიწა 218 ოთხ-კუთხი საჟენი. ანდრეევსკის ქუჩა № 4.

(3—188—3).

**მთავრობის განკარგულებანი**

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ბორჩალოს სამაზრო გამგეობის მე-X კლასის შტატს გარეშე მოხელე თავ. ზაქარია ბარათაშვილი.

## ახალი ამბავი

* * * კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ოთხშაბათობით მთხოვნელთა მიღების დროს მთავარ-მართებელთან უნდა იყვნენ ხოლმე: სახაზინო პალატის უფროსი, საკონტროლო პალატის უფროსი, სამოსამართლო პალატის პროკურორი, კავკასიის სამკურნალო ოლქის უფროსი, ტფილისის გუბერნატორი და პოლიცმეისტერი.

* * * გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, ქართული დრამატიული დასი დღესასწაულობს თავისის სუფლიორის ნ. გალუსტოვის 15 წლის სამსახურის შესრულებას. თხუთმეტი წელიწადია საზოგადოების უჩინრად ბ-ნი გალუსტოვი ემსახურება ქართულს სცენას. ამ დღისათვის წარმოსადგენად დანიშნულია ოთხ-მოქმედებიანი ფარსი, თარგმნილი თვით ნ. გალუსტოვის მიერ. დასასრულ გამართული იქმნება დივერტისმენტი და ლეკური. დივერტისმენტში ბ-ნნი აბაშიძე და გედევანოვი იმღერებენ კომიკურს დუეტს: „ვაი ვაი"-ს, გრ. აბაშიძე და ადამიძე წაიკითხავენ ლექსებს.

იმედია, ჩვენს თეატრში მოსიარულე საზოგადოება ღირსეულად მიეგებება ამ დღეს და პაწია მუშაკის დღესასწაულს დაესწრება.

* * * ამას წინად ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ქალაქის საბჭომ ნატარიუსის შემწეობით შეატყობინა ტფილისის ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოებას გზის გამოსყიდვის სურვილი. ეხლა უსახელო საზოგადოების გამგეობა თავისის მხრით შეჰკითხებია ქალაქის საბჭოს, აზრად ხომ არა გაქვთ გამოსყიდვის შემდეგ სხვას გადასცეთ საწარმოებლად ცხენის რკინის გზაო. უთუოდ ხსენებულ საზოგადოებას უნდა ახალი პირობები წარუდგინოს ქალაქის გამგეობას.

* * * ორშაბათს, 3 ნოემბერს, დანიშნულია არჩევანი ქალაქის საბჭოს მდივნისა. ამბობენ, რომ, ეხლანდელის მდივნის ბ-ნ ს. თ. ჭრელაშვილის გარდა, ამ თანამდებობაზედ კენჭს იყრის აგრეთვე ხმოსანი ლისიციანციო.

* * * გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ახალი სამ-მანათიანი ვერცხლის ფული უნდა მოიჭრასო. ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. ფინანსთა სამინისტროს ამაზედ სრულებით სჯა არა ჰქონია. განზრახვა აქვთ მხოლოდ ოქროს სამ-მანათიანები მოსჭრან.

* * * ქალაქის საბჭოს ხმოსანს ა. ბ. ბაბოვს განზრახვა აქვს ქალაქის საბჭოს მოხსენება წარუდგინოს შესახებ იმისა, რომ ვინც ქალაქის თვით-მმართველობაში მსახურობს, ყოველ ხუთის წლის სამსახურისათვის ჯამაგირი მიემატოს.

* * * ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ისე დღე არ გავა, რომ მატარებელმა არ გაჭყლიტოს ან ცხენი ან ძროხა, ან კამეჩი, ან სხვა რამ საქონელი. 27 ოქტომბერს, მაგალითად, მატარებელმა ოთხი ცხენი გასრისა საჯავახოსა და ქობულეთსა, 26—ძროხა ბორჯომში და კამბეჩი კასპში და ასე ყოველ დღე. ზოგჯერ დღეში ხუთსა და ექვზედ მეტი საქონელი იღუპება მატარებლისაგან. რასაკვირველია, საქონლის პატრონები ამისგან ძალიან ჰზარალობენ, მაგრამ ხშირად ამ ერთ ზარალს მეორე ზარალიც ზედ ემატება ხოლმე. იმის მაგიერ, რომ რკინის გზის გამგეობამ დაზარალებულ საქონლის პატრონს სამაგიერო გადაუხადოს, თითონ ადებს ჯარიმას და რამდენსამე მანეთს კიდევ პირ-იქით ახდევინებს. საჭიროა, რკინის გზის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და უბძანოს მემანქანეს, მეტის სიფრთხილით მოიქცნენ მატარებლის მიმოსვლის დროს. ამასთანავე რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მდებარე სოფლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთს საქონელს, რომ უიმისოდაც გაჭირვებულს გლეხ-კაცს მატარებლის საშუალებით უკანასკნელი საცხოვრებელიც არ გამოეცალოს ხელიდგან.

* * * გუშინ, 29 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად მოხსენება არჩევანების შესახებ, გ. გ. ევანგულოვისა ქალაქის მოურავად (შინაგან საქმეთა მინისტრთან გასაგზავნად დასამტკიცებლად) და ბ-ნის კ. ნ. რეიტერისა, რომელიც ქალაქის საბჭოს კრების თავმჯდომარედ უნდა იყოს ხოლმე იმ დროს, როდესაც ქალაქის მოურავს თავმჯდომარეობა არ შეუძლიან.

* * * 25 ოქტომბერს ბაქოში იყო ქალაქის ხმოსანთა დამატების არჩევანები. ამ დღეს ამორჩეულ იქმნა 23 ხმოსანი, წინადაც 36, ასე რომ სულ ამ ჟამად 59 კაცია არჩეული, კიდევ უნდა ამორჩეულ იქმნას 21 ხმოსანი და 16 კანდიდატი. ამორჩეულთა შორის 28 მაჰმადიანი, 21 სომეხი და 10 რუსი და გერმანელია.

* * * პასტერისებურს ასაცრელს სადგურს, როგორც წარსულის წლის ანგარიშიდგანა სჩანს, 230 კაცისთვის აღმოუჩენია შემწეობა. მათ შორის ცოფიანის ძაღლებისაგან დაკბენილი ყოფილა—193 კაცი, ცხენებისაგან—6, მგლისა—1, კატისა—2 და ვირისა—1. უმეტესობა მათგანი ტფილისიდგან ყოფილა—90 კაცი, ქუთაისიდგან—6, ბაქოდგან—23, ყარსიდგან—5, იმიერ კასპიის ოლქიდგან—10, ტაშკენტიდგან—10, სამარყანდიდგან—15, სირდარიის ოლქიდგან—8 და ფერგანის ოლქ.—2. კავკასიის სხვა ადგილებიდგან ორ-

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

თვალს რისთვის გტაცებს მაცდური,
უგრძნობ-უგულო, მალხაზი,
თვალ-შავი, ტანად ლერწამი,
ცელქი, მხიბლავი და ნაზი;
გაშორდი, რომ არ დაგასვას
გულს სასიკვდილო მან ხაზი,
სჯობს დაიმოყვრო გონჯაი,
სულით და გულით—ლამაზი!..

ვ. თ—შვილი

**სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

მხატვრობა

სამხატვრო ნაწილი საქცნიერო განყოფილებაში შევსებულია უფრო სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშავარით. არის კერძო მხატვრების სურათებიც, მაგრამ მაგდენად სახარბიელო არაფერია. ყველაზედ უფრო საყურადღებო, საინტერესო და ლამაზი ნამუშავარი ეკუთვნის ქალების სასწავლებლებს. ასეთი წარმატება საქალებო სასწავლებლებში მით უფრო სასიამოვნოა (ჩვენშიაც, ე. ი. ტფილისში და არა სხვაგან, ეხლა ყურადღებას აქცევენ ხატვას საქალებო სასწავლებელში), რომ ამ საქმის წესიერად წარმართვა დიდის ხნის ამბავი არ არის. ხატვას რუსეთის საქალებო გიმნაზია-სასწავლებლებში ასწავლიდნენ 1866 წლიდან, მაგრამ უკანასკნელ დრომდის ხატვის სწავლა ფორმალურ მეცადინეობად იყო გარდაქცეული. ამ ბოლოს დროს-კი სულ სხვა გვარად დატრიალდა ჩარხი. დღეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული იმას, რომ მხატვრობის სწავლა მარტო ესტეტიურ განვითარების იარაღად კი არ უნდა რჩებოდეს, არამედ განვითარდეს ხელოვნების ტეხნიკა იმდენად, რომ ამის ცოდნა მომავალში პრაქტიკულად გამოსადეგი დარჩეს. ამ აზრით შემოღებულია თითქმის ყველგან აბრეშუმსა, შუშასა, ტილოსა და ფაიფურზედ ფერადის საღებავით ხატვა, ამოწვა ხეზედ, ტყავზედ და სხვანი. უკანასკნელმა მთელის რუსეთის გამოფენამ დაამტკიცა, როგორ ითვისებენ ყოველ ამას მოსწავლე-ქალები, და დღეს კიევის სამრეწველო გამოფენაც ნათლად გვაჩვენებს. მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთები სურათებია გამოფენილი კიევის და სხვა საქალებო სასწავლებელთა მოსწავლეებისა; ზოგი ხეზე ამომწვარი, ტყავზე, ზოგიც აბრეშუმზედ, ტილოზედ და შუშებზედ ფერადად გამოხატული. საუცხოვოა შუშაზე დახატული სურათები—„მაცხოვარი ემშვიდობება ღვთის მშობელს", „მოსეს წყალზედ პოვნა", „რომეო და ჯულიეტა", „მადონა" და სხვანი. პირველი ორი სურათი შუშაზეა, მესამე—ხეზე ამომწვარია, უკანასკნელი—აბრეშუმზედ დახატული. ოთხივე ადამიანსა ჰხიბლავს თავისის სილამაზით. ეს ნახელოვნები გვარწმუნებს, რომ მოსწავლე ქალებს ესტეტიური განვითარება არ აკლიათ და ამას გარდა, შეძლება აქვთ ხელოვნება სამრეწველო და პრაქტიკულ აზრით გამოიყენონ. ჩვენ საქალებო გიმნაზიებშიაც რომ ასე ყოჩაღად და სიყვარულით შეისწავლიდნენ ახალგაზდა ქალიშვილები ყოველსავე ამას, ცუდს არ იზამენ.

ხელოვნების სამრეწველოდ ხმარება რუსეთში ეხლახან დაიწყეს. დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში, უკვე დიდი ხანია ასეთმა შრომამ ნიადაგი მოიპოვა, რამაც ყოველგან გაუთქვა სახელი (რასაკვირველია, ხელოვნების მხრივ). მხატვრობითი ხელოვნება და გემოვნების თანდათანი განვითარება საფრანგეთში დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში. ლიუდოვიკ მე-XIV და შესანიშნავი მინისტრი კოლბერი დიდად უწყობდნენ ხელს იმის განვითარებას. მთელის მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში იმართებოდა სამხატვრო გამოფენები საგნის ხალხის მიერ გასაცნობად, აარსებდნენ კერძო საზოგადოებათ, რომელნიც ამზადებდნენ ფაბრიკებისთვის საუცხოვო სურათებს. ამის შემდეგ ვრცელდება სხვა-და-სხვა ადგილას სამხატვრო სკოლები მხატვრების მოსამზადებლად, რომ ამით წინ წაეწიათ სამხატვრო მრეწველობა. და არსებული იქნა მუზეუმი (სამხატვრო) საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქში 1803 წელს. ინგლისის მხნე თაოსნობით 1851 წელს მხატვრობის სწავლას საფრანგეთში ახალი ძალა მოემატა. როდესაც ინგლისმა მოჰკიდა ხელი სამხატვრო ხელოვნებას და სხვა-და-სხვა დაწესებულების დაარსებით იწყო მრეწველობაში მისი ხმარება, საფრანგეთმა უფრო განავითარა რიცხვი სამხატვრო სკოლებისა და მუზეუმებისა; ინგლისში გამართეს მოძრავი სამხატვრო მუზეუმი, რომელიც აცნობდა ინგლისელებს თვით მიყრუებულ კუთხეში სამხატვრო სწავლას. ამგვარად ვრცელდებოდა მხატვრობის ცოდნა. ასეთი ტალღა მოხვდა მთელს ევროპას ერთად და ყველა მის ნაწილს ცალკ-ცალკე, აჰყვნენ ერთმანეთს და შეჰქმნეს დღეს დიდად განვითარებული სამხატვრო ხელოვნება, რომელმაც მრეწველობას საამო ფერი და სახე დასდო. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის დამლევს ამ მოძრაობამ რუსეთიც გამოაღვიძა და დააარსებინა ერთი მეორეს შემდეგ სამი სამხატვრო სასწავლებელი, ანუ, უფრო მართალი

*) იხ. „ივერია" № 223.

ორი, სამ-სამი კაცის მეტი არ ყოფილა. ცოფისგან მხოლოდ სამი სული გარდაცვლილა.

⁂ ქალაქის საყასბოში სექტემბრიდგან დაწყებული 27 ოქტომბრამდე უპოვნიათ შვიდი ტრიხინიანი ღორი. საყურადღებო ის არის, რომ ტრიხინიანი ღორები არუთინოვისა ყოფილა, იმ არუთინოვისა, რომელსაც შარშან საგუბერნიო მკურნალმა ბ-ნმა ქიქოძემ ტრიხინიანი ღორის ხორცი და ღორები უპოვნა. ამ არუთინოვს მრავალი ღორი ჰყავს. უწინ არუთინოვი თავისს ღორებს გადაყრილ ტრიხანიან ხორცითა ჰკვებავდა საყასბოზედვე. სასურველია ვიცოდეთ, ეხლა რითი ჰკვებავს ღორებს ეს არუთინოვი? ეხლა ხომ მძოვრის სხვა საკუჭნაოს არ მიაგნო არუთინოვმა. („Т. Л.“).

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, კავკასიის სამკურნალო გამგეობა ამ ჟამად უკვე შესდგომია კეთროვანთათვის ტფილისის გუბერნიაში საავადმყოფოს დაარსების საქმის განხილვას.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, რადგანაც ქურდობისა და ავაზაკობის გახშირების გამო გამომძიებლებს ხშირად უხდებათ აქეთ-იქით სიარული და გზის ფულად გადადებული წელიწადში 500 მანეთი არა ჰყოფნით, სასჯულო საქმეთა სამინისტროს განუზრახავს წელიწადში 800 მანეთი დაუნიშნოს გამომძიებელთ გზის ფულად.

⁂ გაზ. „კავკაზი“ იუწყება, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნება მიეცა გააკეთოს სადგურ გრაკალის მახლობლად მდ. მტკვარზედ ახალი ქვითკირის ხიდიო.

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

(შემდეგი *)

შემდეგ ბ-ნმა ფრენკელმა სთქვა, რომ ჩვენი საზოგადო სისხლის სამართალი საკმაოდ სასტიკია და მკაცრი ავაზაკობასთან საბრძოლველადაო; იგი ყოველთვის ჯეროვანად შეფერებულია დანაშაულთან და, ჩვენის აზრით, ავაზაკობასთან ბრძოლაში უფრო მეტი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ სასამართლოს ხალხზედ გავლენა ჰქონდეს. თუმცა დამნაშავენი ბევრსა სცდილობენ დაუსხლტნენ ხელიდგან სასამართლოს ცრუ მოწმეთა შემწეობით, მაგრამ რაკი განაჩენი წარმოთქმულია, ყოველი მძარცველი, ყოველი ავაზაკი ქედს იხრის ამ სამართლის წინაშე, რადგან კარგად იცის, რომ მისი განაჩენი პირუთვნელია, შეძლებისამებრ სამართლიანი და ყოველთვის კანონზედ დაფუძნებული. ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც ეკიდებიან მკვიდრნი სასამართლოს, უფრო-კი მოსამართლეებსა და გამომძიებლებს, აშკარად გვიჩვენებს, რომ ხალხს უკვე შეგნებულ-შეხორცებული აქვს სასტიკად კანონიერობა სამართლისა და მოსამართლეთა მოქმედებისა. ამ მხრივ სასამართლოს და მოსამართლეებს დიდი ზნეობრივი გავლენა აქვთ ხალხზედ და ამიტომ ყოველივე ის, რაც-კი ამ გავლენას ხელს უშლის, უნდა ექსორია ქმნილ იქმნას სახელმწიფო აზრისა და ერის საკეთილდღეოდ. ჩაუნერგეთ ხალხს გრძნობა კანონიერობისა და ავაზაკობა ერთიორად იკლებს და შემცირდება.

ადმინისტრაციას კანონით დიდი ძალა უჭირავს ხელთ ავაზაკობასთან საბრძოლველად, მხოლოდ საჭიროა, რომ ეს ძალა გონიერად და ხერხიანად იყოს მოხმარებული. თუ პოლიციის მოხელეებად ზნეობის მხრივ უფრო უკეთესნი და განათლებულნი კაცნი იქმნენ დანიშნულნი, ბევრი ცუდი ჩვეულება ხალხს შორის შესუსტდება და დანაშაული ისე სასტიკად აღარ იჩენს თავს, ძალ-მომრეობა, ძარცვა-გლეჯა, ავაზაკობა და კაცის კვლა შემცირდება. კარგად შერჩეული და შედგენილი პოლიცია დიდი ზნეობრივი ძალაა სახელმწიფოში.

ადმინისტრაციას დიდი ძალა აქვს, მაგრამ მან მაინც ეს არ იკმარა და გამოითხოვა მეტი უფლება. მთავარმართებელს კავკასიისას შეუძლიან ესა თუ ის მავნებელი წევრი საზოგადოებისა განუსამართლებლად, განუსჯელად განაძევოს. ამ უფლებით იმ მხრივ სარგებლობდნენ, სხვათა შორის, რომ ქალაქებში ნებას არ აძლევდნენ თავი მოეყარა უქმად, უსაქმოდ მოსიარულე ახალგაზდობას, რომელთაგანაც უმეტესობა ქურდობასა და ავაზაკობასა ჰკიდებს ხელს. ასეთს განკარგულებას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სასურველი არ არის, რომ სოფლის უქმმა ახალგაზდობამ ქალაქში მოიყაროს თავი. ეს ახალგაზდობა სოფლად შრომას ერიდება, გაურბის და ქალაქს ეტანება, სადაც ლუკმა პურის მოპოვება უფრო ადვილია. აქ იგი მზარეულობს, მოსამსახურეობს და თან ქურდობს და ატყუებს თავისს ბატონებს, ხშირად ავაზაკებს დაასხამს ხოლმე თავს და თითონაც ამათთან ერთად მონაწილეობას იღებს. ისინი-კი, რომლებიც ნოქრებად დგებიან სხვა-და სხვა დუქნებში, ძალიან ხშირად ამ დუქნებს ავაზაკთა და მძარცველთა ბუდე-ბუნაგად გადაჰქმნიან ხოლმე, ნაქურდალის საწყობად. ამიტომ დიდად სამართლიანად იქცევა ადმინისტრაცია, რომ ბიწიერ მკვიდრთ თავისს სამუდამო საცხოვრებელს ალაგსა ჰგზავნის, ქალაქს აშორებს, აჩვენებს მას გზას შრომისას, იმ ადგილს, სადაც ქალაქსავით საავაზაკოდ საცთუნებელი არა ექმნებათ-რა, არა დახვდებათ-რაო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ 223.

## მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრება

26 ოქტომბერს, „მეაბრეშუმეთა ამხანაგობას ქუთაისში საგანგებო კრება ჰქონდა. როგორც ამხანაგობის დირექტორის კ. დ. ბაქრაძის მიერ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, ამხანაგობას 18 მაისიდგან პირველ ოქტომბრამდე საწევრო ფული მიუღია 5,585 მანეთი. ამ ფულით, აგრეთვე სხვა 9,240 მანეთით, რომელიც ქუთაისის საკრედიტო საზოგადოებიდგან იქმნა გამოტანილი, ამხანაგობამ გაისტუმრა თურმე მიმდინარე ხარჯი და აბრეშუმის პარკი შეისყიდა. პარკის ყიდვას 10 ათასი მანეთი დასჭირდა. სულ ამხანაგობამ იყიდა $836^1/_2$ ფუთი ნედლი პარკი, ფუთი 10 მან. და 70 კაპ. ხოლო თვითონ გამხმარი პარკი გაჰყიდა თურმე ფუთი $42^1/_2$ მან. თავისთვის ამხანაგობამ დაიტოვა მხოლოდ 46 ფუთი, რომელსაც ეხლა ამხანაგობის აბრეშუმის დამხვევ სახელოსნოში ახვევენ. პარკის ვაჭრობით ამხანაგობამ მოიგო 2,355 მან. 64 კაპ. ამის გარდა აბრეშუმის დამხვევ სახელოსნომ პირველ ოქტომბრიდგან დღემდე 5 ფუთი აბრეშუმის დახვევა მოასწრო, ასე რომ აქედამ შემოსული სულ ერთიანად დაჰფარავს იმ ხარჯს, რაც სახელოსნოს უნდება. ამის გარდა, ქუთაისის საკრედიტო საზოგადოებამ ნება მისცა თურმე ამხანაგობამ გაიტანოს 20 ათასი მანეთი სესხად ბამბის სასყიდლად.

შემდეგ დირექტორმა კ. დ. ბაქრაძემ აუწყა კრებას, რომ ერთს ვაჭარს უნდა აიღოს ამხანაგობისაგან 10,000 მან. პაი და ასესხოს ამხანაგობას უსარგებლოდ—40 ათასი მანეთი აბრეშუმის პარკის სასყიდლად იმ პირობით, რომ ეს ნასყიდი პარკი აწ არსებულის ფასით იმასვე მიჰყიდონ უკანვეო. ამ საგნის განხილვა კრებამ გამგეობას მიანდო.

ერთის სიტყვით, ამხანაგობის აღებ-მიცემობის საქმე საუკეთესოდ არის წარმართული, მაგრამ, საუბედუროდ, ესევე არ ითქმის სამღებრო და საფეიქრო სახელოსნოს შესახებ, რომელიც ამხანაგობის წესდებით უმთავრესს საგანს შეადგენს. ამ მხრივ ამხანაგობა აშკარად დარწმუნდა, რომ სახელოსნოს საქმის კარგად წაყვანა არ შეიძლება, თუ ისეთი ხელოსანი არა ჰყავს, რომელმაც ადგილობრივი ენები იცის პარკის ვაჭრობით მოგებული ფული მთლად ამ ექვს თვეში სახელოსნოს დასჭირდა, რომელიც მოსკოვიდგან გამოწერილის ხელოსანის ხელმძღვანელობით ჰმუშაობდაო. გარდა ამისა ამ ხელოსანმა თვეში 100 მანეთი ჯამაგირი მოითხოვა, გამგეობა იძულებული გახდა დაეთხოვა იგი და ამის გამო მუშაობა სახელოსნოში შეჩერებულ იქმნაო. კრებამ დაადგინა, გაჰგზავნოს თავისი მოსწავლეები მოსკოვსა ან ლიონში საფეიქრო ხელობის საუკეთესოდ შესასწავლად, რომ შემდეგ თავისი საკუთარი ხელოსნები ჰყავდეს.

ამ კრებაზედვე ამორჩეულ იქმნენ დირექტორის დ. ვ. მიქიაშვილის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუვიდა, ბ-ნი ძნელაძე და საბჭოს წევრის ბ-ნ კემულარიას ნაცვლად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი კურნალი. გარდა ამისა, ამორჩეულ იქმნა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შესცვალოს ამხანაგობის წესდება ახლად გამოსულ ნორმალურ წესდებასთან შეფარდებით. ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. თუმანოვი, კ.ბ.რ ლოქით ფანიძე, ა. ნანეიშვილი, კ. დ. ბაქრაძე, გ. ფ. ზდანოვიჩი და ნაფიცი მსაჯული ხელთუფლიშვილი („ახ. მიმოხ“.)

## წერილი მწვანეყვავილიდგან

6 ოქტომბერი

არ ვიცი, როდის და რის გამო დაერქვა ამ უბანს „მწვანეყვავილა“, ეს-კი ვიცი, რომ ეხლა იმას არაფერი აყვავება, წარმატება და წინმსვლელობა არ ეტყობა. მწვანეყვავილა ერთ იმ უბანთაგანია, რომელიც მივიწყებული აქვს ქალაქის მმართველებს და რომელსაც დედინაცვლობასაც არ უწევენ თითქმის. ქალაქის მმართველებმა არც-კი იციან მგონი, საით უძევს ქუთაისს მწვანეყვავილა, თორემ ასე ღვთის ანაბარად როგორ მიატოვებდნენ იმათს საზრუნველს უბანს? ამ უბანში მრავლად შეგხვდებათ ოღრო-ჩოღრო გზები, რომელზედაც გავლას კისერ და ფეხმოუტეხლად კაი ბიჭობა და ჯამბაზობა უნდა, მეტადრე ტალახის დროს არ გეგონოსთ კალოშებმა გიშველოთ თქვენი კალოშები სადღაც მირჩება ტალახში და მერე ფარნით უნდა ეძიოთ; მიქონქილ-მოქონქილი სახლები, ყოველს შნოსა და ლაზათს

რომ ვთქვათ, სამხატვრო სამრეწველო სასწავლებლები. ამათ აზრად ჰქონდათ მრეწველობაში გამოსადეგ და სასარგებლო სწავლის გავრცელება. ერთი ასეთი სასწავლებელი გამოფენაზედაც იღებს მონაწილეობას: „სტროგანოვის სატეხნიკო მხატვრობის ცენტრალური სასწავლებელი“, ამ საუკუნის დასაწყისში დაარსებული მოსკოვს. ამ სასწავლებლისათვის მთავრობას ყოველ წლივ ეხარჯება 60 ათასი მანეთი. აქედგან გამოდიან დახელოვნებულნი მხატვარნი სამანუფაქტურო მრეწველობისთვის, საზოგადოდ სასწავლებელი ანვითარებს სამხატვრო ცოდნას, რომელიც იხმარება საფაბრიკო წარმოებასა და ხელობაში. გამოფენაზედ ჩამოტანილია მოსწავლეების ნახატები, ათასგვარი სურათები, მოხაზულობანი — მეფაბრიკეთათვის უსაჭიროესი მასალა. მოხაზულობასურათებს უკანასკნელ კლასებში მოსწავლენი თავიანთ ფანტაზიით არდგენენ. ასეთის ფანტაზიის ნაყოფით მთელი დიდი კედელია დაფარული სამეცნიერო განყოფილების ფარდულში. ამ კოლლექციაში მრეწველობის ყველა დარგის წარმომადგენელს შეუძლიან იპოვოს საჭირო სურათი. სტროგანოვის სასწავლებელში ასეთის სურათების გამოფენა მუდამ არსებობს, საიდამაც საჭირო ნიმუშებსა ჰყიდულობენ ფაბრიკის პატრონები. სასწავლებელში ასწავლიან სხვა-და-სხვა გვარ მხატვრობას: შუშაზედ, ხეზედ, სხვა-და-სხვა ჭურჭლების კეთებას და სხვ. ყველა ამას ადევს სამხატვრო ხელოვნების დაღი. სასწავლებელში სულ ამ ჟამად 300 ნამდვილი მოსწავლეა, თავისუფალი მსმენელი 1,000. აქ სწავლა მიღებულ ახალგაზდებს ფაბრიკის პატრონები იწვევენ; ვისაც არა ჰსურს ფაბრიკაში სამსახური, მხატვრობის მასწავლებლის ადგილის მიღებას სცდილობს (უფლება მინიჭებული აქვს). როგორც ვხედავთ, ასეთის სახის სასწავლებელს, სადაც ასწავლიან უცხო სამხატვრო-სამრეწველო ხელოვნებას, საზოგადო საფაბრიკო მრეწველობისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

ბრმათა სასწავლებელი. სიბრმავე რომ დიდი უბედურებაა, ყველამ იცის, მაგრამ რა შეუძლიან უსინათლოს და რა ნიჭი და ძალა აქვს, ეს-კი ბევრისთვის გაუგებარს შეადგენს. უსინათლობის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი აზრია შემდგარი და გავრცელებული საზოგადოდ. ზოგიერთნი იმასაც ამტკიცებენ, თითქოს უსინათლოთ სამწარმოებლო შრომა არ შეეძლოთ, ამისთვის ძალ-ღონე არ შესწევდეთ. რამდენად მართალია ეს აზრი, ამას ქვემოდ გავიგებთ. ჯერ უსინათლოთ მეხსიერებისა, ყნოსვისა და საზოგადოდ გრძნობის შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა. უსინათლოთა მეხსიერება საბეჭდავ მანქანასავით ჰმუშაობს, უსინათლოთ კარგად ახსოვდებათ ყოველივე ნასმენი, ნასწავლი და ნაგრძნობი. დიდი ხანია გამორკვეულია, რომ ბრმა, მხედველობის მოსპობის შემდეგ, უფრო მეტის ძალით ამუშავებს სმენასა და გრძნობას. ამათის საშუალებით ჩვეულებრივ კაცსავით აზროვნობს და ოცნებობს. უსინათლო გონებასმენის წყალობით საკმაოდ ვითარდება. ყოველს ხმას დიდის ყურადღებით ეტანება და იხსომებს უსინათლო, რომელთ შორის ბევრი კარგადა სწავლობს მუსიკას, ხოროს ლოტბარობას და სხვ. აქ გამოთქმულ აზრის დასასაბუთებლად გამოფენაზედ მოტანილი უსინათლოთა ნაკეთებიც კმარა. სხვა განყოფილებებშიაც შეხვდებით უსინათლოთა ნაშრომს საუცხოვო ნივთებს. კიევის ბრმათა სასწავლებელში ამ ჟამად ასწავლიან კალათების ქსოვას, ჰმუშაობენ ბაღჩაში, ამზადებენ სხვა-დასხვა ხის დიდს და პატარა ნივთებს, სწავლობენ კითხვას, მუსიკას და სხ. ამ სასწავლებელში სწავლა მიღებულნი ზოგი ფორტეპიანოს მომმართველია, ზოგი ხოროს ლოტბარი (დაბა სოფლებში და პატარა ეკკლესიებში), ზოგი ბრმათა სასწავლებელში რჩება მასწავლებლად, ბევრნი საკუთარს მალაზია-სახელოსნოს აარსებს და ჰმუშაობს, ოჯახს ეკიდება. ამის მაგალითს კიევში ბევრსა ჰნახავთ, აქ სწავლა-დამთავრებულთა უმრავლესობა თითქმის ამავე ქალაქში რჩება. რაც შეეხება სასწავლებელში დამზადებულ ნივთებს, შედარებით გვარიანად იყიდება. 1896 წ. განმავლობაში სხვა-და-სხვა ნივთები გაუყიდიათ ორის ათასის მანეთისა. სასწავლებელს თავისი საკუთარი საწყობი აქვს, საიდგანაც მყიდველს შეუძლიან ესა თუ ის ნივთი მიიღოს. ადამიანი მიდის იქ, სადაც უფრო იაფად და თავისს სასარგებლოდ ჰშოულობს რომელსამე საგანს, ასეთია საზოგადო წესი, მაგრამ ამ კანონს არ უნდა დაემონავოს ადამიანი, ვისაც შეუძლიან ცოტა მეტის გაღახდა, არ უნდა დაიშუროს ორიოდე გროშის მეტის გადახდა უდანაშაულოდ დასჯილთა სასარგებლოდ წვლილის მისაწოდებლად. არ უნდა დაივიწყოს მყიდველმა, რომ იგი ჰყიდულობს პატიოსან შრომის ნაყოფს და არა იმ ბნელ შენობიდგან გამოტანილს ნივთს, სადაც მთელი წარმოება სხვისის ტყავის გაძრობასა და ერთის კაცის გამდიდრებაზეა დაფუძნებული, სადაც, თუ შრომა დაიწყო ადამიანმა, იგი გახდება თავისის ძალ-ღონის, სიცოცხლის დამაძაბუნებელად და ქარხნის პატრონის სიმდიდრის წყაროდ. ამ შრომის ნაყოფთან ნუ-თუ უსინათლოთა ხელ-საქმეს არ უნდა მიეცეს უპირატესობა, თუნდ ამისათვის მეტის გადახდაც დაგვჭირდეს. როცა ამას შევიგნებთ, დასჯილ მოძმესაც მოვიმადლიერებთ და მადლიანის შრომით დამზადებულს საქონელსაც შევიძენთ.

მალაქია ბოლქვაძე

მოკლებული, ხალხი უვიცი და ღარიბი! აი, ეს გახლავთ „მწვანეყვავილა!“ ანტისანიტარული მდგომარეობა ქუჩებ-ეზოებისა ხომ განსაკვირველ-განსაცვიფრებელია: ისეთს ქუჩას ვერ გაივლით ამ უბანში, რომ ცხვირზედ ხელი არ მიიდოთ. აქ ყველგან შეგხვდებათ „კვნესის და არა სტკივა რა, ეძებს და არა დაჰკარგვია-რა“, რომლებიც არა საამო სურნელებს ავრცელებენ და გზებს აჭრელებენ შავ-შავის წერტილ-ბელტებით. ამას დავძინოთ ისიც, რომ ერთ უმთავრესის ქუჩის პირას გამართულია ცხვრების ფარეხი, საიდგანაც გამოდის ჰაერის მომწამვლელი სუნი. ასეთი უწესოება ჰსუფევს აქ, მაგრამ ვინ არის ხმის გამღები? ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“, შეჰხედეს, რომ დამშლელი არავინა ჰყავთ და ყურის მგდებელი: სანიტარები ყურადღებას არ აქცევენ აქაურობას და ესენიც (მცხოვრებლებიც) თამამად არიან, ან-კი, „თუ ჰირისუფალი არა სტირის, მოტირალს რა ატირებსო!“ თუ აქაურები თითონ არ დაეძებენ სისუფთავეს, სანიტარები რად შეიწუხებენ თავს? ქალაქად რომ არ ითვლებოდეს მწვანეყვავილა, კიდევ ჰო, და ქალაქი და ასე? ქალაქისა რა ატყვია ნეტა? რომ იტყვიან რუსები „Ни къ селу ни къ городу“-ო, ეს გახლავთ. მხოლოდ ფარნები, რომელიც აქა-იქ ჰბჟუტავს და მეტის-მეტი სიშორისა გამო ვერ ასრულებს თავისს დანიშნულებას, ნიშანია ქალაქისა, მაგრამ ამოჭმულ ამოხრული გზები? ნუ თუ არ შეიძლება ჯერჯერობით ერთი უმთავრესი, „ძველის გელათის გზა“ მაინც გაკეთდეს რიგიანად, თუ მოინდომებს ან ქალაქის გამგეობა, ან მცხოვრებლები მოიწადინებენ? დავანებოთ გზებს თავი, ეხლა თვით ხალხის შესახებ ვთქვათ რამე.

ამ უბანში უმეტესი ნაწილი სოფლებიდგან გადმოხვეწილი ხალხია, რომელიც გამოჰქცევია სოფლის გარდასახადს და ბეგარას იმ იმედით, რომ ქალაქში უფრო იოლად წავიყვანთ ცხოვრებასაო. აუღიათ იჯარით სახაზინო ადგილები, წამოუყუნტავთ ფერდობებზედ მერცხლის ბუდესავით სახლები და ამ გვარად გამხდარან „ღრაჟდანინები“. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ხალხი ძლიერ ღარიბია, ამასთან დაუდევნელი და ამაყი, ამათში განათლებული თითქმის სულ არ არის, არიან „ნახევარ ინტელიგენტები“, რომელთაც ამ უბნის სიკეთე-წარმატება ფეხებზედ ჰკიდიათ? ორი კაცი ძლივს გამოერევა ამ უბანში ისეთი, რომ ჟურნალ-გაზეთი მოსდიოდეს, ან კითხულობდეს. მწვანეყვავილში 300 კომლზედ მეტი მოსახლე იქნება ერთის ეკკლესიის მრევლი, თუმცა ეკკლესიას არავინ ეკარება. ჩვენი ძველი ეკკლესია ისე პატარაა, რომ ორმოცი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ და ისიც ცალიერია ხოლმე თითქმის. მიზეზი ერთის მხრივ ის უნდა იყოს, რომ ეკკლესია ვერ არის შუა ადგილას, ბევრს სხვა ეკკლესიები უფრო ემხრობათ. ეტყობათ ეს გარემოება დავიწყებიათ ახალი ეკკლესიის აშენებელთ, რომ იქავე დაიწყეს შენება ახალის ეკკლესიისაც. დროზედ მაინც მოათავებდნენ, ეგებ სიახლემ და ეკკლესიის სივრცელემ მოიზიდოს ხალხი, აგერ მესამე წელიწადია დაიწყეს მისი შენება და კედლებიც ვერ აუყვანიათ. ახლა მუშაობა შეჩერებულია და, როგორცა სჩანს, მეოცე საუკუნემდის არა ეშველება-რა.

ეს უმნიშვნელო უბანი „მწვანეყვავილა“ იმითია შესანიშნავი, რომ აქ დედაკაცები მამაკაცობენ და მამაკაცნი დედაკაცობენ. ყოველივე სიცუდე და სიგლახე აქ დედაკაცებისაგან წარმოსდგება ხოლმე. ესენი მანდილ და ლეჩაქ მოხდილნი დადიან და მანდილოსნის ზრდილობისა არა გაეგებათ-რა; ის კდემა-სირცხვილი, რომელიც დამამშვენებელია ქალისა, ის სიწყნარე და ალერსიანობა, რომლითაც უნდა განირჩეოდეს დედათა სქესი, ამათთვის არა არსებობს. ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, შფოთი და დავიდარაბის ატეხა ამათი საქმეა. მთელი დღე რომ იაროთ ამ უბანში, კაცების ხმას ვერ გაიგონებთ, სულ დედაკაცების ქაქანი ისმის. მოიყრიან ერთად თავს, ილანძღებიან და ითათხებიან, ისეთს რასმე იტყვიან, რომ გამგონეს შერცხვება იმათ მაგიერ, იმათთვის-კი არაფერია. ამათი შესაკრებელი ადგილი უმეტესად წყაროსთან და ფარდულთან არის. ამ წყაროზედაც მინდა მოგახსენოთ, რადგან ის არის წყარო მრავალის ლანძღვა გინებისა და ცემა ტყეპისა.

მწვანეყვავილელებს ერთობის, კარგის მეზობლობა-მეგობრობის გრძნობა არა აქვთ ჩასახული: ერთი ოჯახი მეორე ოჯახს მტრულის თვალით უყურებს, ერთის წარმატება მეორეს სულს უწუხებს და უღონებს, შური და ჯიბრი ჰმეფობს აქ. ასეთივე შური და ჯიბრი გასწიეს ეხლა წყაროს შესახებაც. ეს წყარო იმყოფება ურიების თავში, ძველ გელათის გზის პირას, სახელმწიფო ადგილში, რომელიც იჯარით აქვს აღებული ძმ. სოფრომაძეებს და დასახლებულნი არიან აგერ ათი წელიწადია. რადგანაც ძლიერ ცოტა გამოდიოდა წყალი ამ წყაროში და ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, ხალხმა (60 კაცმა) ითათბირეს, როგორ აეცილებინათ ეს უბედურება, და გადასწყვიტეს ამ ზაფხულს: წყარო დაინგრეს, მიწა გაითხაროს, რადგან ალბად წყალი ძირს იპარებაო, ის მოვნახოთ, ერთად მოუყაროთ თავი და წყალი ბლომად გამოჩუხჩუხდება ჩვენს წყაროშიო, ამის საჭირო ფულიც უნდა გაეწეროს მცხოვრებლებსაო. ფულის შეკრება, ოსტატის მოყვანა და წყაროს გაკეთება მიანდეს ოთხიოდე კაცს. ამათ მოიყვანეს ოსტატი, გათხარეს მიწა, მაგრამ გაპარულ წყალს ვერსად მიაგნეს. რაც მოდიოდა ის ნახეს მეტი ვერა. რა უნდა ექნათ, მოსე წინასწარმეტყველი არავინ იყო და წყალს ხომ ვერ გააჩენდნენ, რაც არ იყო. ისევ იმას გაუკეთეს ახალი მილები და იმაში დააწყვდიეს ის, რაც იყო. ამ ანგრევ დანგრევამ წყაროსამ ის მოიტანა, რომ წყაროს ადგილი მოუცვალეს, წინ წამოსწიეს და აუშენეს თაღი. მოთავებას ცოტა უკლდათ, რომ შეიქნა ერთი აურ-ზაური ქალებისა, რომელნიც მოვიდნენ ახალ წყაროს სანახავად, თურმე ნუ იტყვით, წვალი რომ მომატებული არ დახვდათ, ძლიერ ეწყინათ და გაჯავრდნენ. ამასთანავე გავარდა ხმა რომ მ. სოფრომაძემ ეშმაკობით მოახერხა წყაროს დანგრევა და წინ წამოწევაო, მაგას უნდა დანარჩენი ადგილი შემოიერთოს ეზოსთან და გააფართოვოსო. ეს როგორ შეიძლება, ვინ დაანებებს მაგას იმ ადგილს, ის ჩვენია, სასოფლოა და სოფრომაძეს რა ხელი აქვს იმაზეო. ქალებს აჰყვნენ კაცებიც და შედგა აყალ-მაყალი, ვინ ოსტატს ეჩხუბებოდა, ვინ მოთავეებს და ვინ სოფრომაძეს. ისეთი ამბავი შეაყენეს, რომ მეტი აღარ შეიძლება „რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებსო“, რომ იტყვიან, ისე მოსდით: თუ სიხარბე და შური არა სთხრის თვალებს, რა ენაღვლებათ სოფრომაძემ ის რაღაც ორი ადლი მიწა შეჰმატოს თავის ეზოს, ეს იმისთვის კარგია და იმათთვის კი არაფერი. სათქმელი მაშინ ექმნებოდათ, რომ წყაროს გზა დაეჭირა და აღარ მიეშვა ხალხი; ის წყალს არავის არ უჭერს, გზა საკმაოდ ფართოდ დასტოვა და მეტი რა უნდათ? უწინ ძირიდგან ამოდიოდა წყალი აუზში და იქიდგან იღებდნენ წყალს, ეხლა მილში გამოიყვანეს წყალი წყაროს კედედში, მაგრამ ეს მილი ისე შორს არის აუზიდგან, რომ ძლიერ ძნელი მისადგომია, შიგ თუ არ ჩავიდა ადამიანი, ისე ვერ აავსებს ჰურჰელს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამის გარდა, სხვა წყალიც ეშოვებათ მოჩხუბრებს, მაგრამ ჯინის გულისთვის ეხეთქებიან ამ წყაროს, საიდგანაც დღე და ღამე ძალიან ბევრი თორმეტი კოკა წყალი ამოვიდეს. სხედან აქ დილიდგან საღამომდის კოკებ-დოქებითა და თუნგებ-ჩაფებით და უყურყუტებენ, როდის იქმნება ჩვენი რიგიო. ზოგჯერ რიგსაც არ დაგიდევენ, ძალსაც ჰხმარობენ, თუ მცირე წლოვანს ვისმე მიასწრეს წყალზედ. მითქმა მოთქმა, წყევლა გინება და საჩივარი ჯერაც არ შეწყვეტილა. უპირობენ წყაროს დანგრევას და თავის ადგილას დადგმას, თავი კიდეც მოამტვრიეს ჩუმ-ჩუმად. თუ ვისიც ჯერ არს, ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს, სისხლი დაიღვრება.

მწვანეყვავილაში არის ერთი სამრევლო სკოლა, მაგრამ ხალხი გულგრილად ეკიდება, ბავშვები არ მიჰყავთ, რაც იმითიც აიხსნება, რომ სკოლა ერთ ადგილს არ არის დაფუძნებული, ხან აქეთ გადააქვთ და ხან იქით მოძრავ ტაძარსავით, ამით ვნება ეძლევა სწავლის საქმეს. რაღა ბევრი შევაწყინოთ თავი, მწვანეყვავილა ქუთაისის მუწუკია და მალამოს ელის თავისის მზრუნველებისაგან, თუ სადმე არიან ამისთანანი.

ეგნატე გაბადაძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქ. სიღნაღი.** არა ერთხელ თქმულა გაზ. „ივერია“-ში ესრედ წოდებულ ხითარას გზის შესახებ, მაგრამ არ იქმნა, არ მოეღო ბოლო ამ გზის შეკეთება-შესწორებას. წელიწადში ათჯერ მაინც შეაკეთებენ ხოლმე ფიჩხის ზოგირით, ღორღით, ქვიშით და ხერგებით, ისქელებენ ჯიბეებს ამ გზის შეკეთების იჯარით აღებულის ფულით და გზა კი რამდენისამე დღის შემდეგ ისევ ფუჭდება. ეს ერთად-ერთი გზაა სიღნაღსა და ტფილისს შუა ეტლების სასიარულოდ და ესეც ასეთს მდგომარეობაში აქვს სიღნაღის თვით-მართველობას.

1895 წელს ქალაქმა სთხოვა გუბერნატორს, რომ ინჟინერი გამოეგზავნეთ ამ გზის დასათვალიერებლადაო. მართლაც, მოვიდა ინჟინერი, დაათვალიერა და მოახსენა ქალაქის გამგეობას, საჭიროა, რაც გზის პირად დუქნები და სახლებია, გააუქმოთ და გზას მიუმატოთ, ან არა-და, რკინის ხიდი უნდა გააკეთოთო, მაგრამ ვინ მიაქცია ამ გამოკვლევას ყურადღება.

ეხლა ქალაქის თვით-მმართველობა, როგორც იყო, შეუდგა ქუჩების ქვით მოკირწყვლას. მაგრამ ამითი არა ეშველება-რა ხითარას გზას. კარგი იქნება, თხუთმეტის საჟენის სიგრძეზედ მაინც წამოიხურონ გზა ფარდულით, რომ წვიმა-ავდარი როგორმე შეიმაგრონ და გზის მუდამ ჟამს ახალ-ახალ შეკეთებას ბოლო მოეღოს, თორემ სულ ამ გზას მიაფლანგავენ იმ ფულს, რაც-კი მოეპოვება ქალაქს, და ამით გაახარებენ ზოგიერთ მოიჯარადრე დეპუტატებს. რა ეს, სხვა ქუჩებიც სავსეა ღრმა ორმოებით, რომლებსაც აქაური მცხოვრებლები, როგორც იყო, მიაჩვიეთ, მაგრამ ვაი იმას, ვინც აქ პირველად მოვა და გაისეირნებს ქუჩებში.

3 ოქტომბერს ბრძანდებოდა აქ გრაფი შერემეტიევი, რომელიც, სხვათა შორის, ჰკიდულობდა ხელოვნურად ნაკეთებს თოფებს, ხმლებს, დამბაჩებს და სხვ... თან ახლდა მკურნალი, რომელსაც თან ჰქონდა პაწია მანქანა ფოტოგრაფიისა და იღებდა შესანიშნავ ადგილების სურათებს. ისეთ ნაირად იყო გართული სურათების გადაღებით, რომ გზას არ უყურებდა, ფეხი ჩაუვარდა მმ. ოთაროვების სახლის წინ ქვაფენილში და, საბედნიეროდ, მარტო ფეხსაცმელის გახდით გადარჩა. ქალაქის ხმოსნებს-კი ყურზედ სძინავთ და არაფრის დარდი არა აქვთ. შეიკრიბებიან საბჭოს დარბაზში ვითომდა საჭირო ზოგიერთ საგნების გადასაწყვეტად და ის-კი არა, რასაც ერთი ხმოსანთაგანი იტყვის, ყველანი იმას დაეთანხმებიან და წავლენ-წამოვლენ სახლებისკენ.

—

**სოფ. ჭანჭათი** (გურია), 24 ოქტომბერი. სოფელი ჭანჭათი გურიის სხვა სოფლებთან შედარებით ძლიერ დაქვეითებულია ეკონომიურად. ამის მიზეზი-კი, სხვათა შორის, უგზოობაა. არც ერთის მხრიდგან არა გვაქვს გზა, რომ ჩვენს დაბა-ქალაქებში რაიმე წლის მოსავალი, მაგალითად სიმინდი, ღვინო, ღომი, ან ხილეულობა გავიტანოთ და გავყიდოთ. ექვსი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელსა და ნიგოითს შუა გზის კეთება დაიწყეს, მაგრამ ხან ჩვენის დაუდევრობისა და ხან მამასახლისისა და სხვა სოფლის მოხელეების უყურადღებობისა გამო დღესაც გაუკეთებელია. ეხლა კი ერთი კვირაა, რაც მაზრის უფროსმა გამოგზავნა ბ-ნი ალ. მგელაძე და დაავალა გზის გეგმის შედგენა. იგი მამასახლისის თანადასწრებით შეუდგა ამ საქმეს და აღნიშნეს კიდეც ის ადგილები, სადაც გზა უნდა გაყვანილიყო. ხალხიც სიამოვნებით მიეგება ამ ამბავს და მაშინვე მუშაობა დაიწყეს გზაზედ, მაგრამ—დახეთ უბედურებას!—აქაც გამოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც ჰსურთ ხელი შეუშალონ ამ საქმეს. ესენი გაიძახიან, რომ გზა თუმცა კარგია, მაგრამ ჩემს ადგილში გაყვანის ნებას კი ვერ მოგცემთო. ასე წარმოიდგინეთ, ერთმა გაუბატონმა ისიც-კი სთქვა, რომ თუ მაინცა და მაინც არ დაიშლით და ჩემს ადგილში გაიყვანთ გზას, ავიღებ და სახლს დავდგამ ზედ შუა გზაზედაო და მაშინ რას იზამთ, ხომ ვერ ამყრითო. დიახ, ამას ამბობს ჩვენი მეზობელი, ის რომელიც ისეთვე გაჭირვებული უგზოობისა გამო, როგორც ჩვენ და რომელიც ჩვენვე უნდა გვიდგეს მხარში.

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ მაზრის უფროსი, რომელიც იმ თავითვე, რაც გურიაში გადმოიყვანეს, დიდს ყურადღებას აქცევდა ამ გზის გაყვანის საქმეს, ბ-ნი მგელაძე, რომელიც თავისის პატიოსნებით და ხალხისათვის გულშემატკივრობით ცნობილია გურიაში, მამასახლისი, რომელიც ერთი წელიწადია, რაც მამასახლისად ამოირჩიეს და ეს პირველი ნაბიჯი იქნება მისის მოღვაწეობისა, ყოველ გვარს საშუალებას იხმარებენ და ამ გზის გაყვანის საქმეს დააბოლოვებენ. ამასთანავე საჭიროა, რომ სხვა სოფლებიც დაეხმარნენ ამ სოფელს, თორემ მარტო ჭანჭათლები ვერ შესძლებენ ამ გზის გაკეთებას.

ვერ მიცანი?

## რუსეთი

—

უმაღლესს სამკურნალო საბჭოს განზრახვა აქვს დააარსოს უნივერსიტეტთა სამკურნალო ფაკულტეტთან სახელმწიფო კურსები კბილის ექიმთა მოსამზადებლად კერძო კბილის საექიმო კურსების ნაცვლად, რადგან ამ კურსების მოსწავლეებს მთავრობა ჯეროვანად ვერ ადევნებს თვალ-ყურს.

— სასულიერო უწყებაში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ზოგიერთ მონასტერთან სამასწავლებლო სემინარიები სამრევლო სასწავლებელთა მასწავლებლების მოსამზადებლად.

მიწათ მოქმედების დეპარტამენტს უთხოვნია დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მზრუნველებისათვის, რომ წარმოგვიდგინეთ თქვენი აზრი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან სახელოსნო განყოფილების დაარსების შესახებაო.

ვარშავის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოების სატეხნიკო განყოფილებას განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს იმის შესახებ, რომ ვარშავის უნივერსიტეტთან შეეძლოთ ეგზამენის გარდახდა ხუროთ-მოძღვარისა და ინჟენერის წოდების მისაღებად.

— სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს სასულიერო სემინარიებში ყვავილის აცრის სწავლება.

## უცხოეთი

—

**ორთა კავშირი.** ამ რამდენისამე დღის წინად იტალიის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფმა კრისპიმ გაზ. „Nineteenth Century“-სათვის დასწერა წერილი ორთა და სამთა კავშირის შესახებ, რომლის შინაარსიც მოკლედ ეხლა დაბეჭდილია ინგლისურს ერთს ჟურნალში. კრისპი სულ სხვა ნაირის თვალით უყურებს რუსეთისა და საფრანგეთის კავშირს. იმის აზრით, ეს კავშირი არა ბუნებრივია: საფრანგეთისათვის იგი დამამცირებელია, ხოლო ევროპისათვის საშიში. რუსეთისა და საფრანგეთის წეს-წყობილება იმდენად განსხვავდე-

ბა ერთმანეთისაგან, რომ ამ სახელმწიფოთ შორის საერთო თითქმის არაფერია. კრისპის სიტყვით, კავშირი და მეგობრობა საფრანგეთის რესპუბლიკას მხოლოდ რესპუბლიკასთანავე შეუძლიან, ან ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ძალიან უახლოვდება სარესპუბლიკო წეს-წყობილებას. საფრანგეთი ჩვენ, ამბობს კრისპი, წარმოგვიდგენია დაჩაგრულ ერთა და ხალხთა განმათავისუფლებელ, თავისუფლების მიმდევარ, სახელმწიფოდ. აქედგან აშკარაა, რომ საფრანგეთს მხოლოდ იტალიასთან ან ინგლისთან შეუძლიან დაახლოვებაო. საფრანგეთის უმთავრესს საზრუნავს საგანს, კრისპის სიტყვით, უნდა შეადგენდეს სხვა ერთა შორის სარესპუბლიკო წეს-წყობილების დამყარება და ინგლისსა და იტალიასთან ერთად აღმოსავლეთის ქრისტიანე ერთა მონობისაგან განთავისუფლება. ხოლო რაც შეეხება ელზას-ლორენს, საფრანგეთმა იმისათვის სულ არ უნდა იზრუნოსო. საფრანგეთმა-კი 1870 წელს დამარცხების შემდეგ მთელი თავის ყურადღება მარტო ამ ერთს საგანს მიაქცია იმის მაგივრად, რომ მან, ერთად-ერთმა რესპუბლიკამ ევროპის მონარქიულ სახელმწიფოთა შორის, სამართლიანი და კანონიერი საერო მმართველობა შეიმუშაოს, იგი მთელს თვისს ყურადღებას ერთს საგანს, ელზას-ლორენის დაბრუნებას აქცევდა. ამავე თვალით შეხედა რუსეთთან კავშირს პარიჟის მდაბიო ხალხმა. მან კავშირის პირველსავე დღეს დაიძახა: „ბერლინში წავიდეთ, ბერლინში“-ო. კრისპის აზრით, ორთა კავშირს საგნად მხოლოდ ომი აქვს: საფრანგეთს უნდა დაკარგული პროვინციები დაიბრუნოს, ხოლო რუსეთს კონსტანტინეპოლში გაიმაგრდეს.

—

**ოსმალეთი.** ამ ბოლოს დროს სულთანი თანდათან ურიგდება ახალგაზდა ოსმალთა დასის წევრებს. „რეიტერის სააგენტოს სიტყვით, მაიორი ახმედ-ბეი, რომელიც ახალგაზდა ოსმალთა დასში მონაწილეობისათვის, როდოსში იყო გაგზავნილი, დანიშნულ იქმნა ბელგრადის ოსმალეთის საელჩოს წევრად. ნაზიფ ბეი, რომელიც ახალგაზდა ოსმალთა დასის მეთაურის მურად-ბეის მდივნად იყო პარიჟში, ბრუსის ვილაეტის მთავარ დივნად იქმნა დანიშნული. ახალგაზდა ოსმალთა დასის პარიჟის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად ნამყოფი ემინ-ასლანი პარიჟის საელჩოს წევრად იქმნა დანიშნული. თვით დასის მეთაურს მურად ბეის თუმცა ჯერ არავითარი თანამდებობა არ მიუღია, მაგრამ ეჭვი არ არისო, ამბობს გაზეთი, რომ იმასაც მალე დააბინავებენ სადმეო. ამ ჟამად მურად-ბეი ბოსფორის ნაპირზედ თავისს მდიდრულად მორთულს სასახლეში სცხოვრობს.

## დამაკვირდი

ოჴ, რა ძნელია, რომ სახით შენით შენი დანაშაული არ გამოამჟღავნო!

ოვიდიუსი

***

თავს იქანცავს ძუნწი უძმლობით და მფლანგავი — გაუმაძღრობით.

***

ასში ოთხმოც-და-ცხრამეტი მეტისმეტის სმითა კვდება და ერთი — უსმელობით.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ დღეებში რომინტენის სასახლეში გარდახდილ იქმნა 25 წლის იუბილეი იმპერატორის ვილჰელმის ნადირობისა. 25 წლის განმავლობაში გერმანიის იმპერატორს მოუკლავს 33,967 ცალი სხვა-და-სხვა ნადირისა, ამათში 2 გარეული კამეჩი, 7 ვირ-მოზვერი, 3 ჩრდილოეთის ირემი, 2,297 სხვა-და-სხვა ჯიშის ირემი, 2,189 ტახი, 121 ქურციკი, 16,180 კურდღელი, 674 თეთრი კურდღელი, 9,643 ხოხობი და სხვათა შორის ერთი გველეშაპი.

***

სიცილიელმა ავაზაკმა კონდინომ გაზეთებში დაჰბეჭდა ღია წერილი და გამოაცხადა საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ჩემის ბრბოდგან დავითხოვე ავაზაკი გალმო, რომელიც საკმაოდ თავაზიანად არ ექცეოდა იმ ხალხს, რომელსაც ვძარცვავდითო.

***

ინგლისის ერთს ქალაქში მომრიგებელმა მოსამართლემ ჯარიმა გადაახდევინა პოლიციის უფროსს იმისათვის, რომ საღამოთი ველოსიპედზედ ფარანი არა ჰქონდა.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ამ პოლიციის უფროსმა თავისს თავს უჩივლა მომრიგებელ-მოსამართლესთან. საქმე ასე იყო: პოლიციის უფროსი შინ მიდიოდა ველოსიპედით და გზაში ფარანი დაეკარგა, სამწუხაროდ გზაში არც ერთი პოლიციელი არ შეხვედრია, რომ ეს ამბავი ჩაეწერა. პოლიციის უფროსი მეორე დღეს მოსამართლესთან მივიდა თავისს თავზედ საჩივლელად და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც მოსამართლემ ჯარიმა გადაახდევინა.

## ქართულ სცენაზე სუფლიორის თხუთმეტის წლის მოღვაწეობის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

რა საჭიროა დასახელება, ყველას უნახავს და ყველა იცნობს ჩვენს გამოჩენილს მწერალს, ანუ მეცნიერს, ან კიდევ ორატორს; მისი ღვაწლი საზოგადო ასპარეზზე ყველასგან ცნობილია და სხვა-და-სხვა. ასე იწყობენ ხოლმე, როდესაც უნდათ ქება შეასხან რომელიმე საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეს.

სუფლიორზე კი რაღა ითქმის! არავინ იცნობს და არავის უნახავს ფერმიხდილი, გულ-ჩავარდნილი, თვალებ ჩაშავებული სუფლიორი კოლა. ქლოშინით, ფეხების თრევით ის ყოველ დღე შედის კულისებში, სადაც მას დახვდება ხოლმე ერთად-ერთი მის გულ-შემატკივარი პატარა ოჯახი.

— როგორ ხარ კოლა? ეკითხებიან მას.

— რა მიშავს, მიუგებს ის დაღვრემილი; თითქო პასუხის დასამთავრებლად მოჰყვება ხველას დაიღებს დასორსოლებულს რვეულებს, რომელიც განუშორებლივ იღლიაში სჩრია.

— ხომ არ დამგვიანებია?

— არა, ადრეც არის, დაისვენე პატარა და მერე შენ იცი.

კოლამ იცის, რომ ადრე აღარ არის, მაგრამ ეს არტისტების გულ-შემატკივრობა მის გულს აამებს, დიაღ, ამით ამაყობს კიდეც, მაგრამ სულ ჩუმად, შეუმჩნევლად. მართლაც და ხომ ამ არტისტთაგან ერთიც არ მოიპოვება ჩვეულებრივი ხასიათისა, ყველა ნერვებ მოშლილია, ანჩხლი და შეუთვისებელი, მაგრამ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში არც ერთს მათგანს არამც თუ არ უწყენინებია, არამედ სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არა ახსოვს რა მათგან, მაშასადამე ეს მის ღირსებას უნდა მიეწეროს.

ამ ფიქრებით გართულია კოლა, როდესაც გაისმის რეჟისორის განკარგულება: „ზარი დარეკეთ, ყველა თავ-თავიანთ ალაგას დადექით“!

კოლას ეს სიტყვები ყოველ დღე ესმის, მაგრამ ყოველთვის ამ სიტყვების გაგონებაზე მას გული აუფანცქალდება ხოლმე. ის მოცოცხლებული მიეშურება თავის ალაგისკენ და ბუტკას რომ მიუახლოვდება ერთს შეიკუნტრუშებს კიდეც.

დღეს მიდის ახალი ვოდევილი არც აქეთ, არც იქით, რომელშიაც უმთავრესს როლს ჩვენი ვასო თამაშობს. ის არდგენს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენ ქართველ არტისტს. თეატრში განუწყვეტელი სიცილი გაისმის. ჩვენი კოლაც იმათზე ნაკლებ არ იცინის თავის სოროში.

„სად არის ეხლა ჩენი დალოცვილივ კოლა სუფლიორი;“ ამბობს არტისტი თავის როლში — აქ ვარ ვასოჯან! გულზე ხელ დადებით ანიშნებს კოლა და თან გულ-აჩქროლებული ბორგავს თავის სკამზე. ეს ერთად ერთი შემთხვევა იყო იმის სიცოცხლეში, როდესაც მისი სახელი საზოგადოებამ გაიგონა. ან მიხვდება კი იგი, რომ ეს კარგი სანატრელი სუფლიორი მე ვარ აქ, ამ სოროში ჩამძვრალი!

გათავდა წარმოდგენა. ხალხი უდარდელად, მხიარულად იშლება. მას ჯერ ისევ თვალ წინ უდგია მის მასიამოვნებელი არტისტი. არტისტიც კმაყოფილი საზოგადოების დაჯილდოვებით ემზადება მოსასვენებლად.

სუფლიორი?! ისევ წინანდებულად დაღვრემილი, ნიდაყვ დაბჯენილი ჯერ ისევ ჩასჩერებია გადაშლილ რვეულს, რომლის ბოლოში აწერია „ფარდა“. ფარდა! ამ ფარდის ქვეშ მიმალულმა განვლო თხუთმეტი წელიწადი და ვინ იცის კიდე რამდენს გაივლის. ერთხელ მაინც ახდის ვინმე ფარდას მის ცხოვრებას?! მაგრამ ეს ვისთვის არის საჭირო: როდესაც მანქანა მოქმედობს, ვინ მიაქცევს ყურადღებას იმ გოგორას, რომელიც მას ამოძრავებს.

— ბ. სუფლიორო! თქვენ გადაგხდებათ ნახევარი თვის ჯამაგირის ჯარიმა მისთვის, რომ წარმოდგენის დროს თქვენ სოროდგან ტაშს უკრავდით მოთამაშეთ და ხელებით ისე ანიშნე ბდით მოძრაობას, რომ მაყურებლებმა ყველამ შეამჩნია.

— რა გაეწყობა ბ. რეჟისორო, თქვენი ნებაა, როგორც გნებავთ დამსაჯეთ, უპასუხებს კოლა, ჩემი ერთად ერთი ბედნიერება ეს თავ-დავიწყებაა და ამისათვის ყოველ სასჯელს ავიტან.

— არა, არ შეიძლება, ჩვენ ყველა არტისტები გთხოვთ აპატიოთ ჯარიმა ჩვენს საყვარელ სუფლიორს. მით უმეტეს, რომ ხვალ ჩვენ გვსურს ვიდღესასწაულოთ თხუთმეტი წლის ჩვენთან ერთად მოღვაწეობა ჩვენი პატივცემულ სუფლიორისა.

კოლა დაფიქრებული მიაბიჯებს თავის სახლისაკენ, ხვალ იმის ბენეფისია. ხომ პატიოსნათ, სიმართლით დ დაუღალავათ ასრულებდა თავის მოვალეობას: ამას გულზე ხელ დადებით ყველა იტყვის, ვინც მაგას იცნობს. საზოგადოება დააფასებს! მაგრამ მისი საზოგადოება ხომ მისი პატარა ოჯახია — იქ, კულისებში — სადაც ის ყველას ერთნაირად უყვარს.

პავლე ყიფიანი

### პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 206 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 293 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 251 |

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ. ოზურგეთში ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა და იმის თავმჯდომარე კნეინა ნ. კ. გურიელი გულწრფელს მადლობას უცხადებენ იმათ, რომელთაც აღმოუჩინეს საზოგადოებას ფულით დახმარება *), შემოწირული აქვთ: ნ. პეტრიაშვილს—2 მან., დ. ბაქრაძეს—3 მან., ივანე კაკაბაძეს—1 მან., ნესტორ ანჯაფარიძეს—1 მან., ილია არსენიშვილს—1 მ., ბ...—1 მან., არს. გოგიჯანოვს—1 მან., ნ. მესხს—1 მან., ი. საბახტარს...—1 მან., კონდრატი მხეიძეს—1 მან., პავლე ჭყონიას—I მან., რიხნერს—10 მან., ხ...—3 მან., ეგორ შახნაზაროვს—3 მან., ს. შოხ...—10 მან., ხაჩატუროვს—2 მან., ოგიევსკის—1 მან., სტ...—1 მან.. პ...—1 მან., ვ. თ. გრიელსკის—3 მან., ს...ხ...—2 მან., კასპის-შავი ზღვის საზოგადოებას—25 მან., ა. მანთაშევს და კამპ.—10 მან., ნობელების ნავთის წარმოების ამხანაგობას—25 მან., ზაქარიანს—1 მან., გრამატიკოპულოს—1 მან., ვარძელოვს—1 მან. და პ. ს. სუქაიანს—1 მან., სულ—114 მან.

გამგეობა მადლობას უცხადებს თავ. ნ. ყ. თავდგირიძესაც, რომელმაც შესძინა საზოგადოებას 52 მან., შემოსული იმისაგანვე ქ. ოზურგეთში გამართული „საცეკვაო საღამოდგან“.

საზოგადოების საქმის მწარმოებელი ივ. კაციტაძე

*) რადგან შემოწირულებათა ჩასაწერ წიგნაკში ზოგიერთებს თავისი ვინაობა, ცოტა არ იყოს, გაურკვევლად დაუწერიათ, ამის გამო იმათი გვარები იბეჭდება შემოკლებით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით შემომწირველთა წინაშე.

საქმის მწარ. ი. კ.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 30 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . - | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | » | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Октября 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.